ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის

პრეზიდენტის 2025 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ეს დებულება შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ" და ბსუ-ს წესდებას.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი") ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ბსუ-ს ფაკულტეტების მიხედვით 2 წლის ვადით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.

მუხლი 3

ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა არის ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა (შემდეგში „სტუდენტური თვითმმართველობა"), რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4

ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს (ამომრჩეველი) ბსუ-ს ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სამაგისტრო, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურიდან, გარდა დამამთავრებელი სემესტრისა და სტატუსშეჩერებული პირებისა.

მუხლი 5

ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

მუხლი 6

არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში ყველა მათგანი ხდება ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი.

მუხლი 7

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35.

მუხლი 9

სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მრგვალი ბეჭედი წარწერით „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა“ (მზადდება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად).

მუხლი 10

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სხვა, კანონით ნებადართული შემოსავლები.

მუხლი 11

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბსუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

ბ) ფაკულტეტი - ბსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

გ) ფაკულტეტის საბჭო - უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 4 - ზე ნაკლები;

დ) საფაკულტეტო თვითმმართველობა - სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტის სტუდენტებიდან ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან;

ე) პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

ვ) დეპარტამენტი - სტუდენტური თვითმმართველობის კონკრეტული მიმართულებით საქმიანობის წარმართვისათვის ამავე თვითმმართველობაში შექმნილი აღმასრულებელი სტრუქტურა;

ზ) დებულება(წინამდებარე) - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი;

თ) საარჩევნო დებულება - საარჩევნო დებულება ადგენს ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესს, არჩევნებში მონაწილე პირთა უფლებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დავის განხილვის წესს.

ი) საერთო კრება - სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან არჩეული დელეგატებისაგან.

კ) თავმჯდომარე - კონკრეტული ფაკულტეტის/დეპარტამენტის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ექვემდებარება პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს.

ლ) აღმასრულებელი საბჭო - სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომლის წევრებია: უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, მისი მოადგილეები - ვიცე პრეზიდენტები, საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეები, დეპარტამენტის თავმჯდომარეები.

მ) პრეზიდენტის აპარატი - სტუდენტური თვითმმართველობის შიდა ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეული, რომელიც ფუნქციურად ექვემდებარება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს და უზრუნველყოფს მის უფლებამოსილებათა ეფექტიან განხორციელებას.

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები, უფლებამოსილება და სტრუქტურა

მუხლი 12

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) დაიცვას და წარმოადგინოს ბსუ-ს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციას;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას;

დ) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტთა ჩართულობა ამ პროცესში.

ე) გარდა აქ მოხსენიებული მიზნებისა, მიზნები, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს უმაღლესი განათლების შესახებ კანონისგან და უნივერსიტეტის წესდებისგან.

მუხლი 13

სტუდენტური თვითმმართველობა თავის უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

გ) წარადგენს წინადადებებს სასწავლო პროცესთან და სტუდენტური ცხოვრების წარმართვისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ბსუ-ს მართვაში და ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

ე) სტუდენტთა აქტივობის გაუმჯობესებისა და სტუდენტთა უფლებების რეალიზებისათვის გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ვ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრევე გაერთიანებებთან;

ზ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ბსუ-ს მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ბსუ-ს შესაბამის მართვის ორგანოს;

თ) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 14

1. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა მოიცავს მართვის ორგანოებს და თვითმმართველობაში ჩამოყალიბებულ დეპარტამენტებს.

2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი საბჭო;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, აღმასრულებელი საბჭო და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი თვითმმართველობის საქმიანობას ახორციელებს თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულების - დეპარტამენტების მეშვეობით.

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები

მუხლი 15

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს, რომელიც შედგება ბსუ-ს ფაკულტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებში არჩეული ყველა წევრისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება ტარდება კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ ორისა.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი. შესაძლებელია კრება მოწვეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. საერთო კრების სპიკერი, საერთო კრების 1/3-ის ინიციატივით მოწვევის შემთხვევაში იქნება ამავე 1/3-ის მიერ წარდგენილი პირი, ხოლო პრეზიდენტის ინიციატივის შემთხვევაში, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი პირი.

4. კრების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ეცნობება კრების ჩატარებამდე არანაკლებ ორი დღისა. (ინფორმაცია გამოქვეყნდება სტუდენტური თვითმმართველობის სამუშაო

ოთახთან, ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე - შესაბამის ველში).

5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 1/2-ზე მეტი.

მუხლი 16

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

ა) ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3 ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტებს.

გ) სრული შემადგენლობის 2/3 ხმით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;

დ) პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს თვითმმართველობის დეპარტამენტების თავმჯდომარეებს, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ის ხმით.

ე) საერთო კრება უსმენს პრეზიდენტის წლიურ ანგარიშს გაზაფხული/ზაფხულის სემესტრის მიწურულს.

მუხლი 17

აღმასრულებელ საბჭოს ხელმძღვანელობს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 18

აღმასრულებელი საბჭო:

ა) შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის სტრატეგიულ პოლიტიკას;

ბ) წარუდგენს წინადადებებს კონკრეტულ დეპარტამენტებს მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;

გ) ამტკიცებს დეპარტამენტის მოადგილეებს და დეპარტამენტებში შემავალ წევრებს სრული უმრავლესობის 1/2 ხმით;

დ) თვითმმართველობის პრეზიდენტის გადადგომის/გადაყენების შემთხვევაში ირჩევს ვიცე-პრეზიდენტებიდან ერთ-ერთს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელად, სრული უმრავლესობის 1/2 ხმით. ასეთის არ ყოლის შემთხვევაში, ინიშნება საერთო კრება.

ე) განიხილავს პროექტებს და ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს, რომლებიც შესაბამისობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონთან, ბსუ-ს წესდებასთან და ბსუ-ს სამართლებრივ აქტებთან.

თავი IV

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 19

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას, უძღვება საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

მუხლი 20

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა 2 წლის ვადით საერთო კრების მიერ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული ან ღია კენჭისყრის საფუძველზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმართველობის წევრების არანაკლებ 1/3-ს.

მუხლი 21

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, მომდევნო კვირის იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს, სადაც არჩეულად ჩაითვლება სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით არჩეული კანდიდატი.

2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 22

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს ბსუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრი, აქტიური სტუდენტის სტატუსის, საქართველოს მოქალაქე, ქმედუნარიანი და არ უნდა იყოს შრომით ურთიერთობაში უნივერსიტეტთან.

მუხლი 23

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელ საბჭოს, ვიცე-პრეზიდენტებს, პრეზიდენტის აპარატსა და დეპარტამენტის თავმჯდომარეებს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 24

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება 6 თვეზე მეტი ვადით;

გ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

დ) უნივერსიტეტში დასაქმება;

ე) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ) გარდაცვალება.

ზ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით ან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევა (დისციპლინური სახდელის შეფარდება).

მუხლი 25

1. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა აღმასრულებელი საბჭოს უმრავლესობის მიერ.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია საერთო კრების დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3.

მუხლი 26

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას და სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელ საბჭოს, უძღვება სხდომებს ან მის ნაცვლად ნიშნავს სხდომის თავჯდომარეს;

გ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მართვის ორგანოებთან და ასევე მესამე პირებთან ურთიერთობებში;

დ) უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს განკარგულებას;

ე) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

ვ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებს;

ზ) თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე ამ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის შევსების საჭიროებისას, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, აცხადებს სტუდენტური თვითმართველობის არჩევნებს.

თ) ნიშნავს საარჩევნო კომისიის 7 (შვიდი) წევრს. არჩევის შემდეგ გამოსცემს საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ საბოლოო აქტს -განკარგულებას.

ი) სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებამდე 1 თვით ადრე განსაზღვრავს ფაკულტეტების სტუდენტური თვითმართველობის ასარჩევი წევრების ზუსტ ოდენობას „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად.

კ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის წესდებას.

მუხლი 27

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის წევრისათვის აუცილებელი მოთხოვნები;

ბ) ხელი შეუწყოს ბსუ-ს სტუდენტების (მათ შორის თვითმმართველობის წევრის სტატუსის არქმონე სტუდენტების) ინიაციატივების განხილვასა და შემდგომ განხორციელებას;

გ) დაიცვას სტუდენტების ინტერესები სასწავლო პროცესში და მოახდინოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესებში სტუდენტური ინტერესების ლობირება;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით არ განახორციელოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი განცხადება ან აქცია;

ე) უზრუნველყოს არჩევნების დადგენილ დროში (ან/და საჭიროებისამებრ) გამოცხადება და ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ მიმდინარეობას;

ვ) 6 თვეში ერთხელ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს წარუდგინოს ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოებული აქტივობებისა და მომდევნო 6 თვეში განსახორციელებელი (დაგეგმილი) აქტოვობის განხორცილების შესახებ.

მუხლი 28

1. სტუდენტურ თვითმმართველობას ჰყავს სამი ვიცე-პრეზიდენტი, რომელთაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საერთო კრება.

2. **ვიცე-პრეზიდენტი საფაკულტეტო თვითმმართველობის განხრით** ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების განხორციელებას ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობების დონეზე.

ვიცე პრეზიდენტი სტუდენტური აქტივობების განხრით - ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების განხორციელებას სპორტის, კულტურისა და ტურიზმის დეპარტამეტის დონეზე.

ვიცე პრეზიდენტი სასწავლო და სამეცნიერო განხრით - ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების

განხორციელებას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და განათლების და მეცნიერების დეპარტამენტის დონეზე.

თავი V

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი

მუხლი 29

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი სტუდენტური თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, საჭიროების შემთხვევაში მობილიზებას უწევს ჟურნალისტთა კორპუსს, სტუდენტურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატს აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

ა) კორესპონდენციების მიმართულება;

ბ) იურიდიული მიმართულება;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება.

მუხლი 30

1. პრეზიდენტის აპარატი შედგება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრებისაგან, რომლებიც ეხმარებიან პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში.

2. პრეზიდენტის აპარატს ხელმძღვანელობენ:

ა) პრეზიდენტის აპარატის უფროსი;

ბ) პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე(ები).

მუხლი 31

1. პრეზიდენტის აპარატის წერილების მიმართულება განიხილავს და ამზადებს სტუდენტური თვითმმართველობის სახელზე შემოსულ განცხადებებს, სხვა დოკუმენტაციასა და ხელმოსაწერად უგზავნის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტის აპარატის იურიდიული მიმართულება ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მომზადებას, მათ სისტემატიზაციასა და საჯაროობას, კონსულტაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებს სამართლებრივი აქტებისა და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებაში, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების გარკვევაში. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

3. პრეზიდენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში მობილიზებას უწევს ჟურნალისტთა კორპუსს.

თავი VI

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსი, უფლებამოსილება და ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

მუხლი 32

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის თვითმმართველობის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით ბსუ-ს ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად და მისი გაწვევა დაუშვებელია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში უნივერსიტეტთან.

4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება არჩევიდან 2 წლის ვადით და ავტომატურად წყდება (არ საჭიროებს დამატებითი აქტის გამოცემას) ახლადარჩეული სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ცნობისთანავე.

მუხლი 33

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსი წყდება და გამოიცემა პრეზიდენტის განკარგულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას (პირადი განცხადება);

ბ) 6 თვეზე მეტი ვადით შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა 6 თვეზე მეტი ვადით;

გ) ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადასვლისას (მობილობა);

დ) უნივერსიტეტში დასაქმების შემთხვევაში;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით დაკისრებული მოვალეობის ზედიზედ სამი თვის განმავლობაში შეუსრულებლობა, ასევე იმ ფაკულტეტის საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის

სისტემატიურად, ან ზედიზედ 5-ჯერ მიუღებლობა (გაცდენა), რომლის წევრიც არის;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებებისა და წესების დარღვევისას;

ზ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებისას ან გარდაცვალებისას.

მუხლი 34

წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტური თვითმართველობის უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად.

მუხლი 35

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

გ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;

ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;

ვ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 36

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია ამ დებულებით;

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას;

გ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების და ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობის სხდომებს;

დ) დაესწროს იმ ფაკულტეტის საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს, რომლის წევრიც არის.

მუხლი 37

არჩეული თვითმმართველობის წევრებს მანდატი უგრძელდება, თუ წევრი არა უმეტეს 6 თვეში სწავლას აგრძელებს ბსუ-ს იმავე ფაკულტეტის ნებისმიერ საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამაზე.

თავი VII

ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

მუხლი 38

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდეგში საფაკულტეტო თვითმმართველობა) არის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტიდან

სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან- ბსუ-ს სტუდენტებისგან.

2. ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებიდან, ამ თვითმმართველობის წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მუხლი 39

1. თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა მისი, როგორც ამ თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადას.

2. საფაკულტეტო თვითმმართველობა იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ. საფაკულტეტო თვითმმართველობის სხდომებს უძღვება თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 1/2-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 40

ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ინიციატივით, ასევე:

ა) საფაკულტეტო თვითმმართველობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით;

ბ) უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტის ან მასთან შეთანხმებით ვიცე-პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 41

ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა:

ა) ამტკიცებს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მდივანს სიითი უმრავლესობით;

ბ) ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ამტკიცებს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მოადგილეს დამოუკიდებლად.

გ) უფლებამოსილებას უწყვეტს თავმჯდომარეს ან/და მდივანს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-სა;

დ) განიხილავს სტუდენტთა პროექტებსა და წინადადებებს და მიზანშეწონილობის შემთხვევაში უგზავნის თვითმმართველობის პრეზიდენტს;

ე) წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება ფაკულტეტზე;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, ბსუ-ს წესდებას და ამ დებულებას.

თავი VIII

ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი

მუხლი 42

1. ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ამ ფაკულტეტის დებულებით.

3. ბსუ-ს ფაკულტეტებზე ასარჩევი ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 1/3-ზე ნაკლები. ზუსტ რაოდენობას, არჩევნებამდე

არანაკლებ ერთი თვით ადრე განსაზღვრავს თვითმმართველობის პრეზიდენტი (თავმჯდომარე).

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაესწროს საბჭოს სხდომებს და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრებს;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე არგამოცხადების შემთხვევაში დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ფაკულტეტის დეკანს და ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს;

გ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან 6 თვეზე მეტი ვადით შეჩერების შემთხვევა დაუყოვნებლივ აცნობოს ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს.

5. თვითმმართველობის წევრის სტატუსის შეწყვეტა იწვევს ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას. აღნიშნულის შესახებ სტუდენტის მიერ, ასევე ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის და თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) უნდა ეცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს სტუდენტის პასუხისმგებლობას ბსუ-ს შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მიხედვით.

თავი IX

სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი

მუხლი 43

სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის კონკრეტული მიმართულებით საქმიანობის წარმართვისათვის ამავე თვითმმართველობაში შექმნილი აღმასრულებელი სტრუქტურა.

მუხლი 44

1. დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრებისაგან, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის მართვას და რომლებსაც დეპარტამენტში სათათბირო ხმის უფლება გააჩნიათ.

2. დეპარტამენტების თავმჯდომარის მოადგილეებს (დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით) და დეპარტამენტებში შემავალ წევრებს ამტკიცებენ აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

3. დეპარტამენტის წევრები უნდა იყვნენ თითოეული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობიდან წარდგენილი არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წევრისა. შესაძლებელია სტუდენტური თვითმართველობის წევრის სტატუსის არმქონე ბსუ-ს სტუდენტის ჩართვა.

მუხლი 45

დეპარტამენტი უზრუნველყოფს თვითმმართველობის წევრის სტატუსის არმქონე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დამუშავებასა და მის განხორციელებაში ხელშეწყობას.

მუხლი 46

1. დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 1/2-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ და მას უძღვება დეპარტამენტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 47

დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/2 ხმით;

მუხლი 48

სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი დეპარტამენტები:

ა) განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი;

ბ) კულტურის დეპარტამენტი;

გ) სპორტის დეპარტამენტი;

დ) ტურიზმის დეპარტამენტი;

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

მუხლი 49

1. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.

2. კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

3. სპორტის დეპარტამენტი აწყობს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თანამშრომლობს სპორტის დეპარტამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

4. ტურიზმის დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო, კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმართველობის პოპულარიზაციას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

თავი X

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 50

1. სტუდენტური თვითმართველობის დებულება მტკიცდება თვითმმართველობის საერთო კრებაზე, სრული შემადგენლობის 2/3 ხმით.

2. შესაძლებელია თვითმართველობის დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა სტუდენტური თვითმართველობის მართვის ორგანოების, პრეზიდენტის ან წევრთა 1/3-ის ინიციატივით.

წინამდებარე დებულება ძალაშია 2025 წლის 17 ივნისიდან.

თვითმმართველობის პრეზიდენტი ნ. ფარტენაძე

ბათუმი,

2025 წლის 17 ივნისი

inprotected.com